

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2022 წლის „ ივნისი, ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩა N3^ბ-ში
მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის
შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩა N3^ბ-ში მდებარე 9557,0 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 - საერთო ფართი 59.86 კვმ და N2- საერთო ფართი 137,97 კვმ (საკადასტრო კოდი: 05.35.28.535).

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრაცია.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩა N3ბ-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2022 წლის 08 ივლისის N3394/02 (07-14221603-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია რომ „მყარი ნარჩენების მართვა აჭარაში“ პროექტის ფარგლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს.კ.20.51.01.348) შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ დაკვეთით აშენდა ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი პოლიგონი, სადაც ამჟამად მიმდინარეობს წინა საექსპლუატაციო მოსამზადებელი სამუშაოები, პერიოდულად სატესტო რეჟიმში მუშაობს დანადგარ-მოწყობილობები, როგორც სანიტარული ნაგავსაყრელი პოლიგონის შიგა, ასევე ბუფერულ ზონის ტერიტორიებზე მიმდინარეობს მწვანე ხე-მცენარეების გაშენების სამუშაოები. ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვის მიზნით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ (EBRD) 2020 წლის დეკემბრიდან დაქირავებულ იქნა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია ICT-ი, რომელიც ამზადებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ნარჩენების მართვის სტრატეგიას, რომლის ერთ-ერთ ღონისძიებად განიხილება მუნიციპალური ნარჩენების გადამტვირთი სადგურის მშენებლობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებს ერთმანეთისაგან დიდი მანძილი აშორებთ, რის გამოც საჭირო ხდება ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მოწყობა. ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებს მოემსახურება ქობულეთის ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი, შესაბამისად შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ შერჩეული იქნა ხელვაჩაურის სამრეწველო ზონის მიმდებარედ არსებული თავისუფალი ტერიტორია, კერძოდ: ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩა N3ბ-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული 9557,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 - საერთო ფართი 59.86 კვ.მ და N2- საერთო ფართი 137,97 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 05.35.28.535), სადაც შესაბამისი მოთხოვნების დაცვით აშენდება გადამტვირთი სადგური, რისთვისაც აუცილებელია აღნიშნული უძრავი ქონების (ს.კ. 05.35.28.535) შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში შეტანა.

ზემოაღნიშნული პროექტის განსახორციელებლად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2022 წლის 18 აპრილის N01-01-10/1832 კორესპონდენციის თანახმად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ეთხოვა გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები, ზემოაღნიშნული ქონების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციასთან დაკავშირებით. შემდგომში, ქონების (ს.კ. 05.35.28.535) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის მიზნით.

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2022 წლის 06 ივნისის N1/1-3106 ბრძანებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით, საკუთრებაში გადაეცა უძრავი ქონება (ს.კ. 05.35.28.535).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ითხოვს ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩა N3ბ-ში მდებარე 9557,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების N1 - საერთო ფართი 59.86 კვ.მ და N2- საერთო ფართი 137,97 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 05.35.28.535) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში

გადაცემას მისი შემდგომში შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიისათვის“ (ს/კ245626684) გადაცემის მიზნით (შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს საწესდებო კაპიტალში შესატანად).

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ ფუნქციონირებისათვის სამუშაო სივრცის შექმნაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისადმი მხარდაჭერა და ხელშეწყობა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე



№ 3394/02

№ 08 06 2022

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ არჩილ ჩიქოვანს

ბატონო არჩილ,

გაცნობებთ, რომ „მყარი ნარჩენების მართვა აჭარაში“ პროექტის ფარგლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 20.51.01.348) შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ დაკვეთით აშენდა ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი პოლიგონი, სადაც ამჟამად მიმდინარეობს წინა საექსპლუატაციო მოსამზადებელი სამუშაოები, პერიოდულად სატესტო რეჟიმში მუშაობს დანადგარ-მოწყობილობები, როგორც სანიტარული ნაგავსაყრელი პოლიგონის შიგა, ასევე ბუფერული ზონის ტერიტორიაზე მიმდინარეობს მწვანე ხე-მცენარეების გაშენების სამუშაოები.

ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვის მიზნით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ (EBRD) 2020 წლის დეკემბრიდან დაქირავებულ იქნა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია ICT-ი, რომელიც ამზადებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ნარჩენების მართვის სტრატეგიას, რომლის ერთ-ერთ ღონისძიებად განიხილება მუნიციპალური ნარჩენების გადამტვირთი სადგურის მშენებლობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებს ერთმანეთისაგან დიდი მანძილი აშორებთ, რის გამოც საჭირო ხდება ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მოწყობა. ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებს მოემსახურება ქობულეთის ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი. შესაბამისად, შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ შერჩეულ იქნა ხელვაჩაურის სამრეწველო ზონის მიმდებარედ არსებული თავისუფალი ტერიტორია, კერძოდ: ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის ქ. N3^ა-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული 9557 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული N1 - 59.86 კვ.მ. და N2 - 137.97 კვ.მ. საერთო ფართის შენობა-ნაგებობები (ს/კ 05.35.28.535), სადაც შესაბამისი მოთხოვნების დაცვით აშენდება გადამტვირთი სადგური, რისთვისაც აუცილებელია აღნიშნული უძრავი ქონების (ს/კ 05.35.28.535) შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში შეტანა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2022 წლის 18 აპრილის N01-01-10/1832 კორესპონდენციის თანახმად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ეთხოვა გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები, ზემოთაღნიშნული ქონების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციასთან დაკავშირებით. შემდგომში, ქონების (ს/კ 05.35.28.535) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის მიზნით.

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2022 წლის 6 ივნისის N1/1-3106 ბრძანებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს, დამატებითი ქონების სახით, საკუთრებაში გადაეცა უძრავი ქონება (ს/კ 05.35.28.535).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გთხოვთ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოსცეთ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩა N3^ბ-ში მდებარე 9557 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული N1 - 59.86 კვ.მ. და N2 - 137.97 კვ.მ. საერთო ფართის შენობა-ნაგებობები (ს/კ 05.35.28.535), შემდგომში შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში შეტანის მიზნით.

დანართი: „6“ ფურცელზე.

პატივისცემით,
თორნიკე რიჯვაძე





1832-01-01-10-2-202204181721

N 01-01-10/1832



18/04/2022

<https://edocument.ge/AdjaraGov/public>

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერს ბ-ნ არჩილ ჩიქოვანს

ასლი: შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“
დირექტორს ბ-ნ ნოდარ კონცელიძეს
ს/ნ 245626684

ბატონო არჩილ,

გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში შემოვიდა შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ (შემდგომში „კომპანია“) 2022 წლის 14 აპრილის N03/58 და 15 აპრილის N03/59 წერილები (თან ერთვის), რომელშიც აღნიშნულია, რომ „მყარი ნარჩენების მართვა აჭარაში“ პროექტის ფარგლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 20.51.01.348) კომპანიის დაკვეთით აშენდა ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი პოლიგონი, სადაც ამჟამად მიმდინარეობს წინა საექსპლუატაციო მოსამზადებელი სამუშაოები, პერიოდულად სატესტო რეჟიმში მუშაობს დანადგარ-მოწყობილობები, როგორც სანიტარული ნაგავსაყრელი პოლიგონის შიგა, ასევე ბუფერულ ზონის ტერიტორიებზე მიმდინარეობს მწვანე ხე-მცენარეების გაშენების სამუშაოები. ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვის თვალსაზრისით საჭირო ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ 2020 წლის დეკემბრიდან დაქირავებულ საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია ICT-ის მიერ მზადდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში ნარჩენების მართვის სტრატეგია, რომლის ერთერთ ღონისძიებად განიხილება მუნიციპალური ნარჩენების გადამტვირთი სადგურის მშენებლობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტები ერთმანეთისგან დიდი მანძილებით არიან დაშორებული, რის გამოც საჭირო ხდება ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მოწყობა. როგორც ცნობილია ხულოს, შუაბევის, ქედისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებს მოემსახურება ზემოხსენებული, ქობულეთის ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი, შესაბამისად კომპანიის მიერ შერჩეული იქნა ხელვაჩაურის სამრეწველო ზონის მიმდებარედ არსებული თავისუფალი ტერიტორია, კერძოდ: ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის ქ. N38-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული 9557 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული N1 - 59.86 კვ.მ. და N2 - 137.97 კვ.მ. საერთო ფართის შენობა-ნაგებობები (ს/კ 05.35.28.535), სადაც არსებული წესებისა და მოთხოვნების დაცვით აშენდება გადამტვირთი სადგური, რისთვისაც აუცილებელია აღნიშნული უძრავი ქონების (ს/კ 05.35.28.535) შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში შეტანა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, გაატაროთ შესაბამისი ღონისძიებები, ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის ქ. N38-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში

რეგისტრირებული 9557 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული N1 - 59.86 კვ.მ. და N2 - 137.97 კვ.მ. საერთო ფართის შენობა-ნაგებობების (ს/კ 05.35.28.535) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციასთან დაკავშირებით, შემდგომში ზემოხსენებული უძრავი ქონების (ს/კ 05.35.28.535) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის მიზნით, შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში შესატანად.

დანართი: „7“ ფურცელი


პატივისცემით,

ჯაბა ფუტყარაძე

3 

მინისტრი





ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N1/1-3106

06 / ივნისი / 2022 წ.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 113-ე მუხლის, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის № 391 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 27.04.2022წ. № 14-1422117696, შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ 14.04.2022წ. N03/58 და 15.04.2022წ. N03/59, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 18.04.2022წ. N01-01-10/1832 წერილებისა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დასავლეთ საქართველოს რეგიონული დეპარტამენტის 11.05.2022წ. N51275 და სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის გავიყვების მხარდაჭერის სამსახურის 16.05.2022წ. N52655 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. გადაეცეს საკუთრებაში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს, დამატებითი ქონების სახით, ქალაქ ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩა N3ბ-ში მდებარე 9557 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: N1 და N2 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N05.35.28.535).
2. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, 0114, სანაპიროს ქუჩა №2) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღეს.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარეხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე

**შპს აჭარის ნარჩენების
მართვის კომპანია**

6010, საქართველო, ქ. ბათუმი,
ვ. გორგასალის ქ. N124
ს/ნ: 245626684



**LTD AJARA WASTE
MANAGEMENT
COMPANY**

6010, Georgia, Batumi,
N124 V. Gorgasali Street
IN: 245626684

ტელ: +995 (577) 23 22 27

ajarawmcompany@gmail.com

N 03/58
14/04/2022

58-03-2-202204141703



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს

ბატონო ჯაბა,

როგორც თქვენთვის ცნობილია, პროექტის „აჭარის ნარჩენების მართვა აჭარაში“ ფარგლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში (საკადასტრო კოდი 20.51.01.348) შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ (ს/ნ: 245626684) დაკვეთით აშენდა ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი პოლიგონი, ამჟამად მიმდინარეობს წინა საექსპლუატაციო მოსამზადებელი სამუშაოები, პერიოდულად სატესტო რეჟიმში მუშაობს დანადგარ-მოწყობილობები, როგორც სანიტარული ნაგავსაყრელი პოლიგონის შიგა ასევე ბუფერულ ზონის ტერიტორიებზე მიმდინარეობს მწვანე ხე-მცენარეების გაშენების სამუშაოები.

ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვის თვალსაზრისით საჭირო ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ 2020 წლის დეკემბრიდან დაქირავებულ საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია ICT-ის მიერ მზადდება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ნარჩენების მართვის სტრატეგია, რომლის ერთერთ ღონისძიებად განიხილება მუნიციპალური ნარჩენების გადამტვირთი სადგურის მშენებლობა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ცალკეული მუნიციპალიტეტები ერთმანეთისგან დიდი მანძილებით არიან დაშორებული, გამომდინარე აქედან საჭირო ხდება ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მოწყობა. როგორც ცნობილია ხულოს, შუაბევის, ქედისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებს მოემსახურება ქობულეთის ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი, შესაბამისად ჩვენს მიერ

შერჩეული იქნა ხელვაჩაურის სამრეწველო ზონის მიმდებარედ არსებული თავისუფალი ტერიტორია, სადაც არსებული წესებისა და მოთხოვნების დაცვით აშენდება გადამტვირთი სადგური.


ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აუცილებელია ს/კ: 05.35.25.535 - ის ფარგლებში არსებული მიწის ნაკვეთის შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში შემოტანა.


გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

ნოდარ კონცელიძე

დირექტორი





ავტომანქანა

200 მ. ხანძარიანი ზონა

ავტომანქანის საკონსტრუქციო სამსახური

ფანჯარა - 9557 339
მისამართი - ხანძარიანი
ბ/ჯ 03.25.25.535





ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022401907 - 07/06/2022 12:17:52

მომზადების თარიღი
08/06/2022 11:36:45

საკუთრების განყოფილება

ზონა ბათუმი	სექტორი 35	კვარტალი 28	ნაკვეთი 535	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 9557.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 05.35.28.335 ; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 - საერთო ფართი 59.86 კვ.მ., N2 - საერთო ფართი 137.97 კვ.მ.
----------------	----------------------	-----------------------	-----------------------	--

მისამართი: ქალაქი ბათუმი, აკაკი შანიძის ქუჩა, N 3ბ

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი **882022401907** , თარიღი **07/06/2022 12:17:52**
 უფლების რეგისტრაცია: თარიღი **08/06/2022**

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N1/1-3106 , დამოწმების თარიღი: 06/06/2022 ,სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:

სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი , ID ნომერი: 245576826

მესაკუთრე:

სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადალა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge